ჩვენთან, თბილისში

რეფორმის აუცილებლობა

არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში

ნესტან თათარაშვილი

იმედი გვაქვს, საქართველოს ახალი მთავრობა, ვინც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში რეფორმების გატარებაზე, დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ დარჩენილი არქიტექტურული ძეგლებისთვისაც მოიცლის და ახლო მომავალში უზრუნველყოფს ამ სფეროში ყველა საჭირო ცვლილების რეალურად შემუშავებასა და განხორციელებას, რადგან არქიტექტურულ ძეგლთა დაცვის მიმართებით საქართველოში დღეს შექმნილი ვითარება ძალზე მწვავეა და საჭიროებს სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელებას.

თუმცა, თუ ამ სტატიასა და მასში დასმულ საკითხებსაც იგივე ბედი ეწია, რაც ბევრ მის წინამორბედს, ვგულისხმობთ მთავრობისა და სხვადასხვა თანამდებობის პირთა მისამართით პრესაში გამოქვეყნებულ ჩვენს სტატიებსა და ღია წერილებზე მათ სრულ დუმილსა და უყურადღებობას, ეს ნამდვილად მოგვცემს ბოლო ხანს მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების პოზიტიურობაში დაეჭვების საფუძველს. უმძიმესი პრობლემების მიუხედავად, ჩვენი დარგის მიმართ ერთგულება და მუხლჩაუხრელი შრომა, მრავალწლიანი სამოქალაქო და პროფესიული აქტივობა და ორ ათეულ წელზე მეტი პროფესიული გამოცდილება უფლებას გვაძლევს პირუთვნელად შევაფასოთ ძეგლთა დაცვის სფეროს წარსული, აგრეთვე კარგად გავაანალიზოთ დღეს არსებული სიტუაცია და ვიმსჯელოთ სამომავლო რეფორმებზეც, რომელთა განხორციელება მხოლოდ ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული და იმედი გვაქვს, ახალი მთავრობა, კერძოდ კი მინისტრი გიორგი გაბაშვილი, თავისი ძველი კოლეგების მსგავსად, დუმილით არ უპასუხებს ჩვენ მიერ დასმულ საკითხებს.

ძეგლთა აღწერის, დაცვისა და გადარჩენის სერიოზული, სამეცნიერო სამუშაოები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იწყება საქართველოში. ამ საქმის ენთუზიასტების მარი ბროსესა და პლატონ იოსელიანის საქმიანობა წარმატებით გააგრძელა დიმიტრი ბაქრაძემ. მისი თაოსნობით 1888 წელს დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. ბაქრაძის საქმის მემკვიდრე, ექვთიმე თაყაიშვილი, 1907 წელს აყალიბებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას და ძეგლების გამოვლენის, აღწერის, სამეცნიერო შესწავლისა და გადარჩენის საქმეს სერიოზულ მასშტაბებს სძენს.

ძეგლებზე ზრუნვა აქტიურად გაგრძელდა საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგაც. ამ დროს ჩატარებულ სამუშაოთა მიმოხილვა-ანგარიშში გადმოცემულია ირაკლი ციციშვილის 1986 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში "კულტურის ძეგლთა დაცვა საქართველოში". ალბათ ბევრმა არ იცის, რომ "სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება" ჯერ კიდევ 1924 წელს შეიქმნა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა, დაარსდა ქართული ხელოვნების მუზეუმი. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შესწავლისა და დაცვისათვის 1934 წელს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ძეგლთა დაცვის კომიტეტის დებულება. 1937 წლიდან ეს კომიტეტი უკვე ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შემადგენლობაშია, 1943 წლიდან კი - არქიტექტურის საქმეთა სამმართველოში. 1949-50 წლებში, პირველად საბჭოთა კავშირში, საქართველოს მთავრობის სპეციალური დადგენილებით იქმნება სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოები. სარესტავრაციო საქმის ფინანსური გაძლიერებისათვის, აგრეთვე პირველად საბჭოთა კავშირში 1959 წელს იქმნება ნებაყოფლობითი ორგანიზაცია - საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, რომელიც 1964 წლიდან იწყებს ჟურნალ "ძეგლის მეგობრის" გამოცემას. 1970 წელს, კვლავ პირველად საბჭოთა კავშირში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე დაარსდა არქიტექტორ-რესტავრატორების მოსამზადებელი სპეციალობა, ხოლო 1975 წელს მხატვარ-რესტავრატორებისა.

ძეგლთა დაცვისა და შენარჩუნების მიმართებით სერიოზული მოვლენა იყო აგრეთვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლების ნაკრძალებად გამოცხადება. 1933 წელს ეს სტატუსი მიენიჭა თბილისის მეტეხს, 1935 წელს - გამოქვაბულებს: "დევის ხვრელი" და "ვარძის ქვა", 1941 წელს - მცხეთას, 1948 წელს - ახმეტის რ-ში უძველეს სამაროვანს. ამავე წელს ვარძიის ქვაბთა სრულ კომპლექსს მიენიჭა ნაკრძალის სტატუსი, ხოლო 1967 წელს ის უკვე მუზეუმ-ნაკრძალად ცხადდება. აგრეთვე მუზეუმ-ნაკრძალი ხდება ქალაქი მცხეთაც. 1970 წელს არქიტექტურულ ნაკრძალად იქცა მესტიის ტერიტორიის ზონები და ხუროთმოძღვრული ძეგლი შატილი, 1971 წელს - უშგულ-ჩაჟაში, 1975 წელს კი შეიქმნა სახელმწიფოებრივი დაცვის ზონა თბილისის ისტორიულ ნაწილში. ამავე წელს მიიღეს დადგენილება დავითგარეჯის ძეგლთა გაუმჯობესების შესახებ. 1976 წელს კი - თელავისა და სიღნაღის ისტორიული უბნების დაცვის ზონების შესახებ. 1981 წელს შეიქმნა ქუთაის-გელათის, ხოლო 1982 წელს - დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი, 1983 წელს ნაკრძალად გამოცხადდა თუშეთის სოფელი დართლო.

1976 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ და შესაბამისად 1977 წელს კი უკვე საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი "ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ", რომელიც საბჭოთა კავშირის ისტორიაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესახებ პირველ საკავშირო აქტს წარმოადგენდა. 1977 წელს მიღებული საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციით, კერძოდ მისი 46-ე მუხლით, ძეგლთა დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ განისაზღვრა. მომდევნო, 1978 წელს, საქართველოს მთავრობა ახალ კონსტიტუციაზე დაყრდნობითა და შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე, კულტურის სამინისტროსთან აარსებს ფართოპროფილიან და სერიოზული დაფინანსების მქონე დიდ ორგანიზაციას - საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს. 1981 წელს სამმართველო გამოეყო კულტურის სამინისტროს და გადავიდა უშუალოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში.

სამმართველოს სტრუქტურა შეიცავდა სამ ძირითად რგოლს: ძეგლთა კვლევის სამმართველოს, საპროექტო ორგანიზაციას და სპეციალური სამეცნიერო-საწარმოო-სარესტავრაციო სახელოსნოების გაერთიანებას. პირველი მათგანი აერთიანებდა ძეგლთა პასპორტიზაციისა და ინფორმაციის, მუზეუმ-ნაკრძალთა, ბუნების ძეგლების დაცვის, არქეოლოგიის, ძეგლთა კვლევის, ხალხური რეწვის განყოფილებას. სამმართველოსთან არსებობდა აგრეთვე ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის სპეციალიზებული ექსპერიმენტული ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა 1973 წელს მხატვარ სერგო ქობულაძის თაოსნობით. სამმართველოში შექმნილი იყო სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელიც ახდენდა ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების ამსახველი პროექტების განხილვა-დამტკიცებას.

ყოველწლიურად სამმართველო სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებდა 120-140 ძეგლზე. სამმართველოს მაშინდელი უფროსის, ი. ციციშვილის ცნობით, 1986 წლისათვის უკვე აღდგენილი იყო, მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, რკონი, ატენის სიონი, ბიჭვინთის ტაძარი, ბეთანია, ქვათახევი, გელათი, გეგუთის ციხე-დარბაზი, გურჯაანის ყველაწმინდა, დრანდა, მოქვი, მარტვილი, ნიკორწმინდა, ნინოწმინდა, ანანურის ანსამბლი, გერგეტის სამება, სნოს ციხე, ველისციხის ბაზილიკა, დმანისის სიონი, ქოლაგირის ციხე, ხობის ანსამბლი, მწვანეყვავილა, გუდარეხის ანსამბლი, ლამისყანის სასახლე, ლენინგორის ერისთავების სასახლე, ერეკლეს სასახლე თელავში, ხიდები აჭარისწყალზე, რამდენიმე ათეული მაჩუბი, სამოცზე მეტი კოშკი და თითქმის ყველა ეკლესია სვანეთში. სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ ძეგლებზე: ბაგრატის ტაძარზე, შატილში, ჩაჟაში, უჯარმაში, უფლისციხეში, ვარძიაში, ბიჭვინთაში, რუხისა და ხერთვისის ციხეებზე, ვაჩნაძიანის ყველაწმინდაზე და სხვ.

ჩვენი დარგის ეს ისტორიული ექსკურსი ცხადად ასახავს, თუ რა სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ძეგლთა დაცვის მიმართებით საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თუმცა საბჭოთა სისწრაფითა და პათოსით რესტავრირებული, ასეთი დიდი რაოდენობის ძეგლი ამჟამად უკვე ბევრ სერიოზულ კითხვას ბადებს, რადგან დღეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივსა თუ სხვა შესაბამის სამსახურებში ამ ძეგლთა სრულყოფილ სარესტავრაციო საპროექტო დოკუმენტაციასა თუ ამომწურავ სამეცნიერო ანგარიშს ძნელად თუ იპოვით. ცხადი ხდება, რომ ჩატარებული სამუშაოები ძირეულ შესწავლა-რევიზიას საჭიროებს, მით უმეტეს, რომ ძეგლზე ზრუნვა არასოდეს ყოფილა ერთჯერადი აქცია და რამდენიმე ათეული წლის წინ რესტავრირებული და მერე ღვთის ანაბარად მიგდებული შენობები ისედაც უკვე დიდი ხანია სათანადო ყურადღებას, გადაუდებელ დახმარებასა და განახლებულ კვლევას საჭიროებენ.

სრულიად ნათელია, რომ დარგში არსებული მთელი რიგი პრობლემების სათავე უმთავრესად 1978 წელს დაფუძნებულ ძეგლთა დაცვის სამმართველოს სტრუქტურულ უხეირობაშია საძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ თავად სამმართველოს შექმნის ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ამით სახელმწიფო თავისი მფარველობის ქვეშ აქცევდა არქიტექტურულ მემკვიდრეობას, ამ სამსახურის შექმნის დროს დაშვებულ იქნა გამოუსწორებელი შეცდომა, მიეცა რა ერთ სამსახურს ერთდროულად სამი, თავისი არსით ურთიერთშეუთავსებელი ფუნქცია: არქიტექტურული ძეგლის რესტავრაციის დამკვეთის, შემსრულებლისა და მაკონტროლებლის, გარდა ამისა, აგრეთვე ამ ორგანიზაციას დაევალა ქვეყანაში დარგის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სამეცნიერო ფუნქციის წარმართვა-განვითარება. არასწორად აგებულმა სისტემამ, ბუნებრივია, კარგად ვერ იმუშავა და მისმა მავნე შედეგებმაც არ დააყოვნა. უბედურება კი ისაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არსებული ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების სრული მობილიზებით ამ სისტემის გამოსწორებაზე კი არ დავიწყეთ მუშაობა, არამედ მთლიანად მივივიწყეთ ეს პრობლემა.

ქვეყანაში არსებულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, როგორც სხვა ბევრი რამ, აგრეთვე ძეგლთა დაცვის ყოფილი სამმართველოც - უხეირო სტრუქტურის მქონე, მაგრამ დიდი ქონებისა და რესურსების მრავალპროფილიანი,

ბამბის რიგი

ფართო ორგანიზაცია - გააჩანაგა და საგრძნობლად შეამცირა. უკანასკნელ წლებში მან მხოლოდ დასახელება შეიცვალა და გახდა საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. მისი უკანასკნელი განახლება, ე.წ. რეორგანიზაცია, 2002 წელს განხორციელდა, როცა ძეგლების მეპატრონედ მიჩნეულმა საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2002 წლის 18 მარტს დეპარტამენტი ახალი დებულებით აღჭურვა.

სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი წინასწარი კვლევისა და შესწავლის, ქვეყნის სამომავლო ინტერესების, არსებული რეალობისა და დარგის თავისებურებების გაუთვალისწინებლობით შედგა. ამასთანავე, ახლად დაკომპლექტებისას სრულიად არ გაანალიზდა ამ სამსახურის ნაკლი თუ ღირსება, დაშვებული შეცდომები თუ წარმატებები, არსებული მატერიალური თუ ინტელექტური რესურსები. საერთოდ არ მიეცა შეფასება ამ ორგანიზაციის წარსულს, არ მოხდა მისი მომავლის სერიოზული განსაზღვრა. მოიხსნა ძველი ხელმძღვანელი, დაინიშნა ახალი. ფაქტია, რომ არც განხილულა თავისი არსით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ამ დეპარტამენტის სრული დამოუკიდებლობა. ყველაფერი კვლავ საბჭოთა აზროვნებითა და მიდგომებით განხორციელდა.

ცოტათი ადრე მსგავსი სტილით მომზადდა აგრეთვე საქართველოში გამოსული კანონიც "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" (1999 წ. 25 ივნისი). კანონი პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე და ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის დახმარებით მოამზადა კულტურის სამინისტრომ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა. უახლესი წარსულის გამოცდილებამ ცხადად გვაჩვენა, რომ ეს კანონი ვერ უზრუნველყოფს ძეგლის დაზიანების შემთხვევაში დამნაშავეთა დაუყოვნებელ შეჩერებას და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, ვერ განსაზღვრავს კონკრეტულ პასუხისმგებელ პირთა და ორგანიზაციათა უფლება-მოვალეობებს, უყურადღებოდ ტოვებს ამ სფეროს სამეცნიერო მნიშვნელობას, და თავისი სისუსტის, ბუნდოვანების და არასრულყოფილების გამო სრულიად ვერ არეგულირებს ძეგლების რეალურად დაცვასა თუ ამ ეროვნული დარგის წარმატებულ განვითარებას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის უვარგისია და უნდა მოხდეს მისი დაუყოვნებელი შესწორება, ან სრულიად ახალი კანონის შექმნა. ამ საქმეში გამოცდილი და გათვითცნობიერებული იურისტების გარდა, უნდა ჩაერთოს ძეგლთა დაცვის სფეროში ყველა კვალიფიციური სპეციალისტი. აუცილებელია საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციების თანამონაწილეობაც.

სრულიად ნათელია, რომ სახელმწიფოს ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელიდან გამომდინარე, დარგის სტრუქტურაცა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონიც სავსებით ახალი სისტემის შესაფერისი უნდა შექმნილიყო, მაგრამ ამის ნაცვლად მივიღეთ ძველ, საბჭოთადროინდელ სტრუქტურაზე მორგებული სუსტი იურიდიული დოკუმენტი. ხოლო რაც შეეხება 2002 წელს ძეგლთა დაცვის ორგანიზაციას, ამასაც აგრეთვე საბჭოური სტილით რეანიმაციას თუ ვუწოდებთ. ამიტომ, ძეგლთა დაზიანებისა და განადგურების მასშტაბიც სულ უფრო სწრაფად იზრდება ქვეყანაში.

დასანანია, რომ ბევრი საბედისწერო შეცდომის მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ ამ სფეროში სათანადო რეფორმების დროული და თანამიმდევრული განხორციელება. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 12 წლის გასვლის შემდეგ კი ეს დარგი და ჩვენი არქიტექტურული მემკვიდრეობაც უკვე უდიდესი პრობლემების წინაშე დგას. საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარა ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი და მათ შორის უმთავრესი - დარგის მეცნიერულად წარმართვა. დღეს სარესტავრაციო საქმეს სარემონტო საქმიანობა ცვლის, ისტორიული განაშენიანებებისა თუ ბევრი ცალკეული არქიტექტურული ძეგლის სტატუსი და მხატვრულ-ისტორიული ღირსება კი მავანთა მიერ რატომღაც კვლავ საეჭვო გამხდარა. დაუსრულებლად გრძელდება დავა საყოველთაოდ აღიარებული სარესტავრაციო წესების შესრულებასა და სწორი მეთოდოლოგიის დაცვის შესახებ. დამკვიდრებული უკანონობის შედეგად ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი შენობები თანდათანობით კერძო პირთა საკუთრება ხდება, ხელიდან გვისხლტება არა მარტო დღევანდელი საქმის სწორად წარმართვის ბერკეტები, არამედ ხდება ამ სფეროს სრული დისკრედიტაცია, რაც დარგის არსებობას და მომავალს რეალურად ეჭვქვეშ აყენებს.

უკანასკნელ წლებში მომხდარმა უამრავმა კანონდარღვევამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო და გასათვალისწინებელი, მრავალფეროვანი გამოცდილება დაგვიგროვა, რაც ამომწურავ შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს, იმისათვის, რათა მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან გამოუსწორებელი შეცდომები. მაგრამ ამ საკითხით არავინ ინტერესდება. პირიქით, წარსული გამოცდილების ძირეულ გაანალიზებასა და შეფასებას, აგრეთვე ძეგლთა უფლებების დაცვის წინ წამოწევასა და მათდამი ყურადღების გამახვილებას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ.

მიზეზი მარტივია, საბჭოთა დროიდან დღემდე უმეტესად თითქმის ერთი და იგივე სპეციალისტები მოიაზრება წამყვან თანამდებობებზე სხვადასხვა ინსტიტუტსა და ორგანიზაციებში. ისინი ხშირად თავადვე გვევლინებიან მნიშვნელოვანი დაკვეთების შემსრულებლებადაც ქალაქის ისტორიულ უბნებში, მათ მუდმივ მფარველებად კი ამ პრობლემით სავსებით გაუთვითცნობიერებელი, უვიცი და გულგრილი სახელმწიფო მოხელეები გამოდიან, ამიტომ, ცხადია, არც შემსრულებლებს და არც მათ მფარველებს, გარდა თავიანთი კონკრეტული, პირადი სურვილების განხორციელებისა, სწორედ რომ არაფრის შეცვლა და შეფასება არ სურთ.

განა შეიძლება დღემდე დაუდგენელი იყოს, თუ სად გაქრა ძეგლთა დაცვის სამმართველოს ერთ დროს სერიოზული უძრავ-მოძრავი ქონება, ანდა როგორ და რაში დაიხარჯა უკანასკნელ წლებში ვითომ ძეგლთა დაცვის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები, უცხოური გრანტები თუ კრედიტები? სხვა დარგებისაგან განსხვავებით, შესაბამისი მაკონტროლირებელი ორგანოები დღემდე ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებით სერიოზულად არ ინტერესდებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ აბარიათ სახელმწიფოსა და ერისათვის უმნიშვნელოვანესი და შეუფასებელი ქონება - ჩვენი არქიტექტურული ძეგლები. გასაანალიზებელი და შესაფასებელია ამ სფეროში მოღვაწე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაც. დასამალი არ არის, რომ მავანნი, სარგებლობენ რა ცნობილი არქიტექტურული ძეგლების უნიკალურობით, ადვილად ახერხებენ უცხოური ფონდებიდან მათთვის სერიოზული ფინანსების მოზიდვას, მაგრამ რადგან ამ ყველაფრის თავი და თავი მხოლოდ ანგარება და პირადი ინტერესებია, შემდგომ ძეგლისათვის სავსებით უსარგებლო, მხოლოდ შეუსაბამო და უხეშ ჩარევას ახორციელებენ. ყოველივე ეს კი შესაბამისი კონტროლის ამარაა დარჩენილი. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ დღემდე ნამდვილად არანაირი კონტროლი არ არსებობს უამრავ ძეგლზე ამჟამად მიმდინარე თუ უკვე ჩატარებულ სამუშაოებზე.

განსხვავებით სამედიცინო თუ იურიდიული სფეროსგან, სადაც ასე თუ ისე უკვე განხორციელდა სპეციალისტთა გამოცდისა თუ გადამზადების სამუშაოები, ჩვენი დარგი საკმაოდ ვიწროა და მასში მომუშავე კვალიფიციური სპეციალისტები - მცირერიცხოვანი. ამიტომ მათი ნამუშევრების შემოწმება და სათანადო რევიზია რთული არ არის. მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს პირდაპირ კავშირშია ლიცენზიების მინიჭების მწვავე პრობლემასთან, სადაც აგრეთვე ძალზე სერიოზული კანონდარღვევები ხდება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ რესტავრატორთა (და აგრეთვე სხვა სპეციალისტების) სალიცენზიო სტატუსი დღემდე სრულიად დაუბრკოლებლად, რამდენიმე ასეულ ლარად იყიდება ნებისმიერ პიროვნებაზე. ცნობილია, რომ სარესტავრაციო სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის აუცილებელია შეგირდობიდან ოსტატობამდე მიმავალი პროფესიული საფეხურების გავლა და მათ შემოქმედებაში სწორად წარმართული სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის დამადასტურებელი გამოცდილებისა და, შესაბამისად, გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ნამუშევრების არსებობა. ამიტომ, რესტავრატორთა ლიცენზიით აღჭურვა მხოლოდ სპეციალისტთა სამუშაო წლების სიმრავლის გათვალისწინებით ნამდვილად ვერ განისაზღვრება. ამ მიმართებით დახვეწას მოითხოვს კანონმდებლობაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარსულში, საბჭოთა მოთხოვნებით განხორციელებული ძეგლთა მასშტაბური რესტავრაციით, უხვად დაგვიგროვდა როგორც უამრავი პროფესიული შეცდომა, აგრეთვე დიდი რაოდენობით "ვაი-პროფესიონალებიც". ამიტომ ლიცენზირებამდე საატესტაციო შემოწმების გავლა განურჩევლად ყველა სპეციალისტისათვის უნდა იყოს სავალდებულო.

ცხადია, თუ გვინდა, რომ ძეგლთა დაცვის ახალი სისტემა მკვიდრად ავაშენოთ, მისი თითოეული კადრის შესწავლა-გამოცდა ახლავე უნდა მოხდეს. ამით თავიდან ავიცილებთ ყოფილ დამნაშავეთა და უპატიოსნო პროფესიონალთა ახალ სისტემაში დაუბრკოლებლად გადაბარგებას (მათ ხომ ამის დიდი გამოცდილება გააჩნიათ), და აგრეთვე განვახორციელებთ ნამდვილად საჭირო და აუცილებელ სამუშაოს, რომლის გარეშე ახალი ცხოვრების დაწყება ამ სფეროში და პოზიტიური შედეგების მოლოდინი - სათუო და ნაკლებმოსალოდნელია. თავს ვერ ავარიდებთ ჩვენი საამაყო თანამემამულის სიბრძნის მოხმობას "ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვა?", და თუ არა და, კვლავ მცდარი გამოცდილების გამეორება და შეცდომების დაუსრულებლად გამეორება მოგვიწევს; კარგა ხანი ვერ მოვიშორებთ ვერც უკანონობას და აგრეთვე ვერც ჩვენი დარგის ძველ, კორუმპირებულ და ამბიციურ "ავტორიტეტებსა" თუ მათ ახლად გამომცხვარ მემკვიდრეებს.

ძეგლთა დაცვის სფეროში არსებული პრობლემების მთავარი მიზეზი სახელმწიფო სიდუხჭირე და უფინანსობა არ არის, რადგან ხშირად, საკმაო დაფინანსების შემთხვევაშიც, წარმატებულ შედეგებს ვერაფრით ვერ ვაღწევთ, პასუხისმგებელი კი კონკრეტულად რომ არავინ არის, ამ ფაქტს არავინ ითვალისწინებს. აგრეთვე არავინ ითვალისწინებს იმ დიდ საფრთხეს, რასაც ამ სამეცნიერო დარგის დისკრედიტაცია და პროფესიონალ სპეციალისტთა გაქრობა ჰქვია. ტრადიციად ქცეული უკონტროლობა და დაუსჯელობა გარკვეულ სპეციალისტთა თუ ორგანიზაციათა ვაი-შემოქმედებას ვერანაირად აჩერებს და მათი მოღვაწეობაც დაუბრკოლებლად გრძელდება. ამის შედეგად კი მხოლოდ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე - არქიტექტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები ზარალდება. განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა უკანასკნელ წლებში, როცა დაზიანდა ბევრი ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი, პარკი თუ ქუჩა. საფრთხე ემუქრება იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლებსაც.

ვფიქრობთ, ამ სფეროში საკადრო, საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები უკვე გადაუდებელია. ძეგლთა დაცვის სფეროში საგანგებო ცვლილებების განხორციელებამდე კი, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებულმა მთავარმა სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროს არა მარტო ისტორიულ ზონებში მიმდინარე ახალი მშენებლობების, არამედ სარესტავრაციო თუ სხვა პროექტების განხილვა.

გარდა თავად საბჭოს არასრულფასოვანი მუშაობისა, რაც შესაძლებელია სავსებით ლოგიკურია არსებულ ვითარებაში (თუმცა ეს მიზეზი კონკრეტულ პირებს არანაირად არ ათავისუფლებს დაკისრებული პასუხისმგებლობიდან და ჩადენილი კანონდარღვევებისაგან), ხშირია ისეთი ფაქტებიც, როცა თავად საბჭოს თავმჯდომარე, სწავლული მდივანი თუ სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობისა თუ სამეცნიერო სტატუსის მქონე საბჭოს წევრები თავად არღვევენ დასამტკიცებელი პროექტის საბჭოზე წარსადგენ წესებს, რის შედეგადაც გამოუსწორებლად ზიანდება არქიტექტურის ძეგლი, დანაშაულზე სავალდებულო პასუხისმგებლობას კი ყველა თავიდან იშორებს და მათი მისამართით ტელევიზიასა თუ პრესაში სამართლიანი აღშფოთებით გამოთქმულ შენიშვნებს - უკვე ჩვევადქცეული უტყვი დუმილით პასუხობენ.

ამ პრობლემებზე შარშანაც ვწერდით "დედაქალაქში" (ნ. თათარაშვილი. ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი კლუბ-რესტორან "ემიგრანტში". "24 საათი". №161/373/, 2003 წ.), მაგრამ ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა და მასთან არსებულმა სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ, სამწუხაროდ, არანაირი რეაგირება არ მოახდინა, პირიქით, ისინი კვლავაც მსგავსი დარღვევებით აგრძელებენ მუშაობას. ჩვენდა საუბედუროდ, ამის შესანიშნავი მაგალითია ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი "ბამბის რიგი", სადაც უკვე კარგა ხანია სამუშაოები დაწყებულია, თუმცა პრაქტიკულ სამუშაოებამდე აუცილებლად გასავლელი სავალდებულო საპროექტო პროცედურა ამ ძეგლზე არ ჩატარებულა. დღემდე უცნობია აგრეთვე ამჟამად უკვე კერძო მფლობელობაში მყოფი ამ არქიტექტურული ძეგლის სამომავლო ფუნქცია. თუმცა ყველამ კარგად იცის, რა უნდა მის მფლობელს: მას არ აკმაყოფილებს არსებული მოცულობა და მის გაზრდას სახურავის სიმაღლეში მომატებით ცდილობს.

XX საუკუნის დასაწყისში აგებული ეს უნიკალური შენობა და მართლაც რომ არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი, თავის ბევრ წინამორბედთა მსგავსად უკვე წინასწარ არის განწირული დაზიანებისა და დამახინჯებისათვის, ყველაფერი კი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისა და მასთან არსებული მთავარი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ხელდასხმით ხდება. მსგავსი მდგომარეობაა ძმები ზუბალაშვილების მიერ აშენებულ "სახალხო სახლზე", დღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაზეც, სადაც აქტიურად მიმდინარეობს ფასადისა და ინტერიერის სარემონტო სამუშაოები, მიუხედავად იმისა, რომ ეს შენობაც არქიტექტურის ძეგლია და კანონი კრძალავს მასზე ნებისმიერ, თუნდაც სულ მცირე წინასწარ შეუთანხმებელ, დაუგეგმავ და ნებართვამიუღებელ ჩარევას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ რემონტის ავტორები ჩვენი კოლეგები, "ცნობილი რესტავრატორები" არიან, რომლებმაც თავის დროზე ეროვნული ბანკის შენობის - ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურის ძეგლის დამახინჯებით "ისახელეს თავი".

საკმაო მაგალითები დაგროვდა აგრეთვე იმისა, თუ რა დარღვევებით ხორციელდება ამ საბჭოს მიერ მოწონებული და დამტკიცებული პროექტები, რასაც შესანიშნავად ასახავს ანჩისხატის ტაძრის გვერდზე დამთავრების სტადიაში მყოფი, ციხე-კოშკად ქცეული ყოფილი სახაჭაპურის ოდიოზური შენობა. არსებული კანონმდებლობით კი ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭო მსგავს შემთხვევებზე, როცა მიმდინარე სამუშაოები შეთანხმებულ პარამეტრებს აღარ სჯერდება, პასუხს ვერ აგებს. ალბათ სწორედ ამიტომ არ რეაგირებს ეს საბჭო ძეგლთა დაზიანებასა თუ ისტორიულ უბნებში მიმდინარე უამრავ დარღვევაზე.

ნუთუ მისი წევრებისათვის, ან დეპარტამენტის ხელმძღვანელებისათვის ასეთი ძნელი მისახვედრია კანონდამრღვევთა მიერ კარგად გამოცდილი მეთოდი, რასაც ისინი მათ საკუთარი ხელით აკეთებინებენ და რაც ასე მარტივად გამოიყურება: აუცილებელია, პირველ რიგში საბჭოს ნებართვა მიიღო შენობის თუნდაც მცირე ცვლილებისა ან უპრეტენზიო ახალმშენებლობისა, რათა საქმის დაწყება მოახერხო, შემდეგ კი რაც გინდა ის ჰქენი, გამკითხავი მაინც აღარავინაა. გარდა ამისა, ნუთუ ასეთი რთული გასაგები იყო თავის დროზე ამ საბჭოსთვის სრულიად შეგნებულად და მიზანმიმართულად, მისთვის შეუფერებელი და გაუმართლებელი ფუნქციის მიცემის მიზეზთა საბედისწერო საფუძველი, ვერ ხედავდნენ, რომ ხშირად სწორედ მათი "უვნებელი ნებართვებით" იწყებოდა მდარე მშენებლობების მთელი კასკადი თუ არქიტექტურულ ძეგლთა დაზიანება, რასაც მერე თავად ვერაფრით ვერ აკონტროლებდნენ? და რომ ამ გადამეტებული ფუნქციის დეპარტამენტის საბჭოზე გადალოცვით თბილისის არქიტექტურის სამსახურმა ეშმაკურად და ცბიერად აიცილა თავიდან თავისი სავალდებულო პასუხისმგებლობა?

ფაქტია, რომ დღეს ამას ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისა და მისი საბჭოს გარდა ყველა მშვენივრად ხედება, ხოლო ახლახან დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა, ახალმშენებლობებზე სახელმწიფო ისტორიულ დაცვით ზონებში წელიწადნახევრიანი დროებითი მორატორიუმის დაწესების შესახებ, რაში მხარდაჭერასაც მას ჯერ კიდევ შარშანწინ სთხოვდა ურბანული განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებრივი სამეთვალყურეო საბჭო, და რაც მაშინ დეპარტამენტის მიერ სრულიად უყურადღებოდ დარჩა - ვფიქრობთ, რომ ამჯერად მხოლოდ დროითა და იძულებით გამოწვეული აქციაა, რომლის მთავარი მიზანი მხოლოდ თავის გამოჩენა და საკუთარი ფუჭი საქმიანობის უკანა პლანზე გადატანაა. ასე რომ, დარგში სათანადო რეფორმების გატარებამდე საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებული მთავარი სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს საქმიანობის შეჩერება ალბათ უკვე აუცილებელი და გადაუდებელია.

სახელმწიფოში ახლახან მიმდინარე ცვლილებების შემდეგ გაირკვა, რომ კულტურის სამინისტრო და სპორტის დეპარტამენტი ერთ უწყებად გაერთიანდა. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, როგორც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული ორგანიზაცია, მექანიკურად გადავიდა ამ ახალ სტრუქტურაში, არადა ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ცალკე რგოლად არსებობა და მისი დამოუკიდებლობა, ვფიქრობთ, სრულიად ულტერნატივოა. ამ ორგანიზაციის მფლობელობაში მყოფი უზარმაზარი უძრავი ქონება, უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მქონე მატერიალური და სულიერი რესურსები, გარდა ამისა, დარგის სპეციფიკა და მის ხანგრძლივ წარსულსა და გამოცდილებაზე დაწვრილებითი დაკვირვება ნათლად აჩვენებს, რომ ის ერთმნიშვნელოვნად საჭიროებს დამოუკიდებელ, ავტონომიურ სახელმწიფო სტრუქტურად არსებობას.

კონსტიტუციის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი და ამ უფლებით აღჭურვილი მთავარი სტრუქტურაც სახელმწიფო საკუთრებაა, ამიტომ სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დარგის ავტონომიურად დაფუძნებაცა და მისი სტრუქტურული ცვლილებების დაფინანსებაც. უპრიანია, რომ ამ დარგში დღეს არსებული სახელმწიფო სამსახურების ბიუჯეტი სწორედ ახალი რეფორმების განხორციელებას დაეთმოს და არა ძველებურად ტყუილ საქმესა და უსარგებლო ღონისძიებებს.

ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლი